ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

4

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1542). თებერვალი 1979, ფასი 20 კაპიკი.

— შეხედე, ჩვენმა ბიჭმა ფეხი აიდგა!
— აიდგა და, ბორჯომი და სიგარეტი ამოიტანოს!

საქართველოს ზეიმია!

შარშან „ღმერთმან სიმგრგვლე ცისა
ჩვენთვის რისხვით წამოგრაგნა“ —
თავს დაატყდა ქართულ მიწას
მიწისძვრა და მეწყერ-წარღვნა!..

სეტყვის ჯარი ვენახს ნაჯაფს
ჩაუსაფრდა!.. გადათალხა!..
მაგრამ მაინც გაიმარჯვა
ჩვენმა გმირმა, გამრჯე ხალხმა!

გაიმარჯვა ყოვლის შემძლემ,
უძლეველის მქონემ ძალის
და, ზედიზედ მეექვსეჯერ,
ხარობს დროშით გარდამავლით!

თებერვლის მზე აღარ ზოგავს
სხივს და მიწა ზევით მიაქვს! —
არის საქართველოობა! —
საქართველოს ზეიმია!

დღეს სხვა დღეა, სხვა წელია! —
ძველი სუსხი აღარ გვსუსხავს!
გულზე ფიცად დაწერილი
საქართველო არის სულ სხვა! —

დგას ტრამპლინზე, ემზადება
უფრო დიდი ნახტომისთვის!
როგორ შვენის ეს ნათება! —
შეხედვა ღირს, მარტო, მისი!

განახლების წყარო წმინდა, —
იმედად რომ ხალხი ხმობდა, —
ამოდუღდა! ამობრწყინდა!
ამოსაქართველოოვდა!

ამოდუღდა სიმართლის ქმნად,
დიდი ძვრების მახარობლად
და მოიცვა რესპუბლიკა
არნახულმა აღმავლობამ!

დაიქუხა გაბედულად
ხმამ პარტიის, ხმამ ხალხისა!
ამ ქუხილმა ახლებურად
მუშაობა დაგვაკისრა!

ვენახს, ჩაის, ჩარხს თუ დაზგას
ვუვლით! — ძალას ვინ დაზოგავს?!
საქართველო ახლა სკას ჰგავს
და ამზადებს დიდთაფლობას!

ყველა ქართველს რიდი ახსოვს
(და მაწვება გულზე დარდი!)
სულხან-საბას გულსაგანძო —
„მოვალე ვარ ქართველთათვის!“

ძვრები — ზესამაგალითო —
სულს ესაქართველობა!

აკვნის რწევამ აიწყვიტოს!
ქარს გაუძლონ წეროებმა!

იარწივონ არწივებმა
ჩვენი მიწის ასაწევად!
დაე, ამ წვამ, ამ ძიებამ
გაგვიმართლოს! გვასაზრდოოს!

სულს სიმღერა ახლა უნდა —
ახალი და უსასრულო!
გადიადდი, ახმაურდი,
საქართველოვ — უკვდავსულო!

მიეც ფრთები ჩვენს დიდ ღელვებს,
ჩემო მიწავ, მარადისო!
ვინც ათასგზის გამზისფერებს,
შენი თავიც — ალალ მისი!

მიეც სითბო შენახული, —
დაკოჟრილო ხელო, — ვაზებს!...
უნდა დაგვწყდეს ყველას გული
კვირტის გაუშლელობაზეც!

ერი გვანდობს საქვეყნო როლს
და ამ როლში ვიყოჩაღოთ!
საქმე! საქმე, საქმე მხოლოდ!
სიტყვაც ჩვენი — იყოს საქმე!

მკაცრი ბრძოლა — ხელისშემშლელ
ანტიპოდებს, გადმონაშთებს!
შუბლზე ოფლი, ცხელი, შეშრეს!
მკლავი შრომით გამოკაჟდეს!

ნაკლი, — რაც გვაქვს, — არ დავმალოთ!
დაბრკოლებებს შევეჭიდოთ!
წითელ დროშას — გარდამავალს —
შემოვერტყათ ირგვლივ მჭიდროდ!

ყველა ოჯახს დაებედოს, —
ჩვენს ქართველ ერს ასე ნებავს, —
გამრავლება საიმედო!
კერის დააკვნიანება!

გამრავლებას მოჰყვეს გაზრდა, —
რაც არც ასე ადვილია!
საქართველომ, ღმერთმა ჭვნას და
მიაღწიოს ათ მილიონს!

მოემატოს იგი გმირი,
მის დიდებას ვინცა ძერწავს!
მოემატოს შვილი, ძირი!
მოემატოს მიწაც, ზეცაც!..

ვჭექოთ მაშინ „ერი ერობს!
მზე ჩვენთვისაც ამოცურდა
და ვეღირსეთ საქართველოს
თავისუფლად ამოსუნთქვას!“

სიახლეთა მზემოდებამ
ღამე უნდა გაათენოს!
საქართველო ელოდება
უფრო ძლიერ საქართველოს!

მამულს ყველამ ვუერთგულოთ! —
მისთვის ვთვლიდეთ თავს მოვალედ!
ვაფეთქებდეთ გაბედულად
ძიებათა ამონალებს!

ხალხს სიმართლე უნდა ვუთხრათ! —
ტყუილები ნუღარ დაგვღრღნის!
მოვაშოროთ მუმლი მუხას! —
სიმაგრეა მუხა ხალხის!

გაბზარული მზე ვამთელოთ!
ქართულ მიწას ვენაცაროთ!
მის მომავალს ვესანთელოთ!
მის სიმაღლეს ვენაცვალოთ!

გამარჯვების რწმენა ვზარდოთ!
იმედები ვასხივოსნოთ
და სიცოცხლე მოვამზადოთ
საქართველოს სასიცოცხლოდ!

მიღწევათა ოქროწვიმა
ხვალის რწმენის მზით გამრავლდეს!
სიტყვა „გმირის“ სინონიმი
ერქვას ყველგან სიტყვა „ქართველს“!

გვწამს: გავიტანთ გმირულ ლელოს —
ნანატრს, ცისკარნათელმთოველს!..
და უკვდავი საქართველო
მარად ისაქართველოებს!

გაუმარჯოს ზეიმს ქართულს,
ერის სისხლის ამაჭრებას,
საქართველოს — ჯერარნახულს —
მის წინსვლას და გამარჯვებას!

ზაურ ბოლქვაძე



ქსელარაცია

ნახ. ბ. ფირცხალავასა

— ესეც გედნიერი ნომერი!

ურიგო რიგიანები

მოვისმინოთ ურიგოთა წუწუნი:

— ერთი კილოს გულისთვის რიგში დავდგე?!
— თუ შეიძლება, მანქანით ვარ!..
— მე ცოტა მინდა, რამდენიმე ცალი!..
— ბავშვისთვის მინდა, სხვა მეტი არაფერი!..
— რა მოხდა, კაცო, ძალიან მეჩქარება!..
— ა, ბატონო, არც ხურდა მჭირდება და არც აწონა უნდა!..
— სახლი ღიად მაქვს დატოვებული!..
— გადამრევს ეს ხალხი, ორ ცალსაც რიგი უნდა?!.
— რა ამბავში ხართ, კაცო, დაიქცა ქვეყანა?!.

მოვისმინოთ რიგიანთა პასუხები:

— შე დალოცვილო, მანქანით ვარო და ურიგოდ რომ გინდა წახვიდე, ჩვენ რა დავაშავეთ? ფეხითაც ვიაროთ და რიგშიც ჩვენ დავდგეთ?!

— დაიქცა ქვეყანაო, რომ ამბობ, არც იმით დაიქცევა ქვეყანა, რიგში რომ დადგე!

— ნუ გადაირევი, ბატონო! ორ ცალსაც რომ რიგი უნდა, ახლა გაიგე?!

— როგორ, კაცო, ჩვენ არ გვეჩქარება, თუ რიგი მოცლილებისთვის არის?!

— მე, პირადად, მაინტერესებს, გავიგო, ვინ არის ის, არც რიგი რომ არ უნდა და არც ხურდა?!.

ურიგო არ იქნება, თუ ვინმე რიგიანად უპასუხებს.

გიგლა ბახტაძე

ისე როგორ გაიხაროს?!

განა დღე და განა კვირა, წელიწადი მეფობს ბავშვის,
ფრთა ვისაც არ ამოსვლია, ისიც დაჰფრენს, ისიც ფრთას შლის.
ეგ მიმინო — თქვენი ყრმობა — დასაგეშად გაგვიშვია,
რა ლამაზი თაობაა, რარიგ ტკბილი ბადიშია!
არა გყავდათ (ნუ დაგვძრახავთ!) თქვენ მიმცემი მაგალითის,
ამთავითვე გაიფიცეთ და იბრძოლეთ ჟანგბადისთვის!
უნდა პირში შეგვაფრინდეთ, არ დადრკეთ და არ დაგვითმოთ, —
როცა ცერი ნეკს დაწიხლავს, როცა ცერი არათითობს!
როცა შენს დროს — თავისუფალს — ძილშიც აღარ გიტოვებენ,
როცა შენ ტოლ ბავშვს კი არა, შუბლზე რობოტს გიტოლებენ.
ნიჭს დაგდებულს ვერსად ნახავთ, ნიჭთან კაცი შრომით მივა,
ჩვენთვის უკვე გვიანია!.. შენ იტირე, შენ გაგივა!
იმოძრავე! მუცლის ქონი სირცხვილია, ყრმამ რომ ზიდოს,
შენს მაგივრად იმ კენწეროს სხვა ვინ უნდა დაეკიდოს?!
შენ რომ ცურვა მოგეყირჭოს, შენ რომ ღიპი გაგეზარდოს,
შენ მაგივრად ხვალ კოსმოსში გასაფრენად ვინ ემზადოს?!
აქეთ გვესმის საყვედური: „შევაჯერეთ ვაკე-გლდანი,
ბურთს, აბა, რა თავში ვიხლით, არსადაა მოედანი!
მხოლოდ ხუთებს, შინ თუ გარეთ, მხოლოდ ხუთებს მოელიან,
კედლებშუა ფერი მიგვდის, ქონიც მიტომ მოგვერია“...
მოდით, სინჯეთ, შემოიღეთ თქვენც... დღიური მშობლებისთვის,
აიჩეჩავთ პატარა მხრებს: „რად გვინდაო, ანდა რისთვის?!“
შეაფასეთ ნიჭიც, ტაქტიც, მზრუნველობაც თქვენივ მშობლის,
(გაიხსენოთ უნდა თქვენი ერთად ყოფნაც, სხვათაშორის!)
დროულია, დამერწმუნეთ, დღეს ასეთი გატაცება —
მე რომ ვიცნობ ზოგ-ზოგ მშობელს, ორიანი არ ასცდება!
წვრთვნა სინდისის, თქვენს სკოლაში, დე, მშობლებმაც გაიარონ,
ოღონდ მარჯვედ უნდა იყოთ, დღიური არ დაგიმალონ!
ნახავთ, მაგ თქვენს გაკვეთილებს, ყველა როდი დაესწრება,
თქვენ რომ უნდა ჰკითხოთ რამე, კრება მაშინ დაეწყებათ.
მაშინ დარეკს ტელეფონი, ტელეპატობს, თითქოს ხვდება,
თქვენს ოჯახში ფეხი სტუმარს სწორედ მაშინ მოუხვდება,
ითესება ყურის ხნულში მშობლის სიბრძნის მარცვალია:
„დღეს ისეთი დღე მაქვს, შვილო... დღეს მე შენთვის არ მცალია!“
„მოიცლით კი?!“ — გვეკითხება თვალებით და არა სიტყვით, —
„დაგიშავეთ რამე განა, სხვის ჯავრს, ნუთუ, ჩვენზე იყრით?!“
ტიტინებენ ეგ თვალები სავალალოს, სამწუხაროს:
„ნერგს წყალს თუკი არ დაუსხამ, ისე როგორ გაიხაროს?!“
ბავშვთსაბჭოზე, დე, უღირსი, მოიკვეთოს, გაირიყოს,
რაც კი მოვა ამის შემდეგ, ყველა თქვენი წელი იყოს !

ზაზა კაციაშვილი

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

ნახ. გ. ფირცხალავა

— უფრო ფვრილ-ფვრილი ამბრჩევ, იხვზე სანადირად მივდივარ და საფანტად გამომყოლგეგა!

ფრაზები

● **შარვლის** ტოტი — ეს ფრიად ფართო მცენაა.

● **სანამ** ქართამს წაართმევდა, ალღოს ართმევდა.

● **ალალი** კაცი არ იყო და ალალმა დაუქროლა.

● **კარჩაკეტილ** ცხოვრებას ეწოდა — ბედი კარზე მაინც ვერ მიადგა.

● **თავი** არ გააჩნდა, მაგრამ მაინც ამბობდნენ, თავი ქუდში აქვსო!

● **ბუშქიანი** ხელები ჰქონდა — ერთთავად ხელის ჯუჯაში ურევდა.

ნახ. ჯ. ლოლუაანი

— აზრზე ხართ?! ჩემს გოლი ბაგუას ეს დუგლიონაა, თორმ, საფრთხეზელად კონია ბოსტანში გამოკიდეგული!

ანონიმისტი

არავინ იტყოდა იმაზე, საქმე იცისო, ანდა, პირიქით, პატიოსანი, მორიდებული კაციაო, და მაინც ვერ ხსნიდნენ სამსახურიდან.

ახალმა დირექტორმა რამდენჯერმე გაავრთხილა გერონტი, ასე მუშაობა არ შეიძლებაო, მაგრამ მასზე არაფერი მოქმედებდა, „რამდენი დირექტორი გამოვიცვალე და რაღა შენი შემეშინდებაო?!“ — ფიქრობდა იგი. ბაშინ დირექტორმა სცადა მისი მოხსნა. მან კი სპასუხოდ „ანონიმკები“ დაუწერა. სად არ დარბოდა საჩივლელად, ერთი სიტყვით, ყორაზე დააყენა ყველაფერი. შესამოწმებლად გამოეზავნეს კომისიები. დირექტორი თითქმის მთელ დღეს პასუხების გაცემას ანდომებდა, სამსახურისთვის ვეღარ იცლიდა. ჰოდა, როცა რიგითი მეცამეტე კომისია დაიცხრა საწარმოს, ყველაფერი ნათელი გახდა: იქ მუშაობა მთლიანად ჩაშლილიყო, მუშაობისათვის არავის ეცალა!..

— ესეც ასე! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ანონიმისტმა ახალი დირექტორის მოლოდინში.

ა. კოკოლია

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ევროპა.
ქალაქი.
მკრალ თვალთა სინაზე.
მზერაში —
ფერადი წვეთები.
!!!!! ჩარლი
ჩაპლინი !!!!!
ჰკუზს მრავალ ენაზე,
ქუჩაში ალმართულ ხელებით.
ლოსანგელოსელი კაცუნა
პაგარა
წყალგადმა ქვეყანას
თამაშით ხვდება —
და ყველა,
ვინც ტუჩს,
ან მისმაკვარს ატარებს,
თავს ვეღარ იკავებს,
სიცილით კვდება.
ჯანდაბას
ეს დენდი,
კიტრის მსგავს ფეხსაცმლით,
და ეს ქალბატონი,
მაღალი მკერდით.
ეგზაამი.
ქათამი.
ხასმელებს
რა დაცლის...
მოტოციკლს,
მაძებარს
აქ სტვენაც ერთვის.
შიგ თავლში
თუ წარბში,
კუდში თუ ფაფარში —
ნიკაპის ქანქელი
თუ ეელის თამაში...
ფილმებს
თავს დაეხსა
მრავალი შიბერი.
შვ ბრიყვო ევროპავ,
რა მოგდის
სიბერით!
ბატონო,
მუსიო,
ზითხითი აწ ქმარა,
დაგცინონ კაცუნა
დაჭმუჭნილ შარვლით.
მე ეწამს,
თქვენ — არა,
მე ვკრძნობ,
თქვენ — არა,
თქვენ ვდევნით
სიცილი
ამბანაგ ჩარლიხ.
ვიწრო შუბლს ატარებთ
და მუცელს ჩანთას,
ევროპელებო,
პუდრის გდეთ მტვერი.
ჩაპლინისეული ულვაში
დაგრჩათ —
ეს არის ევროპის
სახე და ფერი?!
ჩაპლინის
შარვალი-გარმონი
დგას კოკი —
თმის ბღუჯას
ქვაბ-ქუდაც ეკოფა.
კოლის ფეხთ შეჩყურებს,
გაკვრა წვიტოდ
ფრაკის ...
და ფაფარ-ულვაშების ...
კინ...
ვით ნაჩქმეტი გოგონა,
ეცინის
და ჩარლი
აწყდება
ქალბატონს უცნობს.
ევროპავ,
უყურე,
ცხვდებიან დაცინვით,
დაჯეკი,
დაწყნარდი,
მსმენელო უცხოვ!
ახრუნე
ეგ კინოპორნალი,
ძმობილო!
აქ სენსაციები
როდია ჩაშლილი...
ოფიან ალი!
ინმინე, მხიფლიოვ!
დაფრინავს,
ბეერში ნავარდობს
ჩაპლინი.

თარგმნა **მაისილ ლაფერაშვილმა**

ნახ. ბ. ფაფაშვილი

ულიტყვოდ

ნახ. ბ. ფაქალაური

„ეკტო ია, ფაქალი ეკა“

ა. კალგანი

ყურცქვიტა

ნანატრ მდინარეს წაწყდა და გაიხარა ერთობ,
მოსცა და მყის დაიჭყანა: „რა მწარეაო, ღმერთო!“

ჩამუქებული ტევრიდან მგელი გამოჩნდა უცებ.
კურდღელი ეშვით უყურებს და შიშით გული უცემს.

„აქ ვიყავ ჩასაფრებული, დიდი ხანია გელი,
საუზმისათვის მეჭიდები!“ — კბილებს ილესავს მგელი.

„რა გაეწყობა... ოღონდაც მსურდა, მერჩია შენთვის,
არ აჯობებდა, ჭამის წინ გადაგეყლურწა ერთი?“

„ეგ, ჩემო კარგო, ნამდვილად ბრწყინვალე აზრი
გახლავს,
მაგრამ ულრანში არაყი სად გავაჩინო ახლა?“

„აგერ, ამსიგრძე მდინარეს რომ ალაკ უჩანს ბოლო,
შენ რა გგონია, ძმობილო, სუფთა სპირტია მხოლოდ.“

„მაშ, აბა დავლეე, ნაცარავ, მეტ მადას მომგვრის
ალბათ!“
მგელმა შიგ დინგი ჩაყო და სვლეპა დაუწყო ხარბად...

თანაც შორიდან ტკბებოდა მსუყე საუზმის ცქერით,
მაგრამ უეცრად თვალდან უკვალოდ გაჰქრა მგელი!.

გარემო ისე მოშხამა ჭარხნის ბოლმა და გაზმა,
რომ საწამლავად აქცია ბუნების აიაზმა.

შხამი და გვლი მაშინვე შეეკრიდა გულის შიგნით
და, სულგამფრთხალი, სიღრმეში ჩაძირულიყო იგი!..

თარგმნა **შ. ამირანაშვილმა**

ლექსიკონი

თვითკმაყოფილება — როცა, საკუთარი თავის გარდა, ყველა უკმაყოფილო ყავს.
ხარბი — რომელიც იმას კი არ ეძებს, რაც აკლია, არამედ იმას, რაც ბევრი აქვს.
ბუმერანგი — უფროსის გაკრიტიკება.
რეგლამენტი — ყბედის ცაიტნოტში ჩამგდები საშუალება.
სარეკვრის წიგნი — დაშმშმინების საშუალება.
ლია კარების პოლიტიკა — რათა დაარწმუნო უფროსი, რომ შორს არა ხარ წასული.
ბაქია — ვინც თვითგანდიდებას ცდილობს და თავს იმცირებს.
ჭორი — საიდუმლო, რომელიც ყველამ იცის.
ხელი — ზოგისთვის შრომის საშუალება, ზოგისთვის — ჭამისა.

ალმანზორ თავაძე

მლიქვნელის ბოლო

ვისაც ცხოვრების ჭიდილში გამოცდა უწევს მკაცრი, — ზოგი კაცური კაცია, ზოგი კი — არაკაცი!
ისეთიც ბევრი გვინახავს, რომ უყვარს ხოხვა, ძრომა, უფროსის მისალმებაზე შუბლით რომ მიწას ზომავს!

სხვის მოსასპობად მზად რომ აქვს ცილისწამება, ჭორი,
შორიდან თავის საბილოს რომ უმზერს, როგორც ქორი.
უფროსის ნება-სურვილზე რომ დაცუნცულებს მელად,
სხვის თვალში ბეწვს რომ ამჩნევს და თავისში — სვეტსაც ვერა.

მლიქვნელი განა კაცია, საქმეს რომ სჩადის ბოროტს?
მაგრამ მასაც არ შერჩება და ფეხს წაიტეხს ბოლოს!

ვალერიან სარიშვილი
ქ. ბათუმი

ДИЛИТ სამსახურში მეორე ტაიმზე დაგვიანებული მაყურებელივით გამოვცხადდი. ჩემდა გასაოცრად, ყველა თანამშრომელი თავის ადგილას იჯდა, თავები ისე დაბლა დაეხარათ, თითქოს კროსვორდს ხსნიანო. ამის დანახვაზე ფეხები მომეღვენთა და გულმა რეჩხი მიყო...

— რა მეხი დაგვეცა, ძმაო კაკო?! — ძლივს შევეხმიანე ჩემს გვერდით მაგიდასთან მჯდომ მოანგარიშეს. მან სათვალიდან ერთი კი გადმომხედა, მაგრამ დამნაშავე კაცის ეერით მაშინვე ამარიდა მზერა.



— დავიღუპე! — ერთხელ კიდევ ამოვიგმინე მე. ეტყობა, ფერფური წამივიდა, რომ კაკო ამჯერად წამოდგა, ძველი გრაფინიდან გათლილ ჭიქაში ერთი კვირის, გაურკვეველი ფერის წყალი დამისხა და ნიშადურის სპირტივით ცხვირთან მომიტანა.

— გაწიე იქით, თორემ მართლა ცუდად გავხდები! რა მოხდა, პირდაპირ მითხარი!..

— პახმელიაზე ხარ? — თანაგრძნობის ნოტა გაისმა კაკოს ხმაში, — კაი ახლა, გულს ნუ გაიხეთქავ... უფროსი შემოვიდა და გიკითხა...

— მერე?

— მერე რა! შენც იცი, ავგული კაცი არ არის, მაგრამ აქედან ისეთი აალებული გავიდა, ნამდვილად ბოლში გამოგიყვანს... ერთ წუთს არ გავაჩერებო!

— მე კიდევ ბოლში გამოყვანა მინდა, კეცივით გარუჯული მაქვს თავპირი?! — ძლივს ამოვღერღე მე.

— ჰო, როცა მჭირდება, მაინცდამაინც მაშინ დაიკარგებაო! — დაამთავრა კაკომ და სულ გზა-კვალი ამირია.

რაში დავჭირდი იმ ოხერს ამ დილაადრიანად?!

მმართველის კაბინეტისაკენ წავლასლასდი. ვიოლეტა მდივანმა ჩვეულებისამებრ შემაჩერა, მაგრამ ჩემს შემხედვარეს გული მოულბა. მისაღებში უთავბოლოდ მოვყევი ბოლთას ცემას...

— ტიპი ხარ, რა — წამოიძახა ვიოლეტამ და წამწამები წარბებს აჰკრა.— მიდი, ყური მაინც მიუგდე, რას ლაპარაკობენ! — დიდვეზირის კუროსავით მირჩია მან. რჩევა ჭკუაში დამიჯდა და დერმატინით აკრულ კარს ავეტმასნე. კაბინეტიდან ორი მამაკაცის ხმა გამოდიოდა.

— მეორე ვინ არის? — ხელით ვანიშნე ვიოლეტას. მან ქალის ტუალეტის აქსესუარებს ერთი წუთით თავი დაანება და ჩურჩულით მომიგო:

— კ ა დ რ ე ბ ი!

დავღუპულვარ კაცი და ეს არის, მართლა თუ კადრების განყოფილების გამგე გამოიძახა!

ახლა კი, დანა რომ დაეკრათ, ცვარი სისხლი არ გამომივიდოდა...

კაბინეტიდან ორი მოგუდული მრავალ... ორი მამაკაცის მოგუდული ხმა ძლივს აღწევდა ჩემს ყურთასმენას:

— არ ვიცი, როდემდის უნდა ელოლიაო... ფიგურა! რა ფიგურაა მაგი! ფიგურა კი არა, პაიკია!

— აბა, სცადე და დასძარი ადგილიდან!

— მე რატომ უნდა ვცადო, ლუკიჩ, შენია და შენვე მოკიდე ხელი. — დაბალი ღობე მნახა გამგემ.

— მარტო ხელის მოკიდება არ კმარა, აქ ცოტა ჭკუასაც უნდა დაატანო ძალა!

— ღირს კი ამდენ საფიქრალად?! — არ ისვენებდა ის გამყიდველი გამგე.

ო, რა ძნელია კაცის ცნობა.—

— მაგას, ჩემო კარგო, ზემოდან უმაგრებენ ზურგს! — ფრთხილობდა უფროსი.

— ვინ, ლუკიჩ? ის გენერალი? ხა, ხა, ხა, — შადიმანივით ახითხითდა კადრების გამგე. — ის უკვე ატსტავკაშია!

— შენ უძახე ატსტავკა და მაგრად კი იცავს!

გული ლამის საგულედან ამომიხტა. ვენაცვალე — ბიძაჩემს, აქაც მომწვდა მისი კალთა...

— ჩვენ ისევ შექმნილ სიტუაციაზე ვიზრუნოთ, ფრთხილად უნდა ვიყოთ!..

— მე თქვენ ადგილას მაგ რისკს გავწევდი! — გადაწყვეტით თქვა გამგემ. — დასაკლავ ხარს რაღა ყურება უნდა?! აიღე, მოკალი და გადააგდე!..

ახლა კი სისხლი თავში მეცა, თვალთ დამიბნელდა. ვინ არის ამ ჭირიანი გამგის დასაკლავი და გადასაგდები ხარი?! კარებს მხრით დავეძგერე და კაბინეტში შევვარდი. უკან ვიოლეტა მომყვა წივილ-კივილით:

— არ შეიძლება, ამხანაგო! მე გავაფრთხილე, ნიკალაი ლუკიჩ...

უფროსმა შემომხედა და ჯიქურ გამისწორა თვალი.

— აა, მობრძანდი, ვაუბატონო, როგორც იქნა?! მოდი აქ! შენი გულისთვის კინაღამ დაუფიქრებელი სვლა გავაკეთე! ღირს ამ პაიკის მოკვლა?

მმართველი და კადრების განყოფილების გამგე ჭადრაკის პარტიას ამთავრებდნენ.

უფროსს ერთი მოსაგები სვლაღა აკლდა.

ზ. ყორღანაშვილი



ნახ. ჟ. დეისაძისა

— ერთი კილოგრამი გთხოვე და ნახევარს მაძლევ?!
— იმ ნახევარს მაინც არ წაიღებდი, დამპალია!

ნახ. მ. მჭედლიშვილისა

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომ წიგნის მოყვარული

ერთმა ჩემმა ახლობელმა
მის ახლობელს მიმაახლა,
იქ ისეთი რამ ვიხილე,
სიცილსა მგვრის, მწარეს, ახლაც:
დარბაზს ამკობს წიგნი,
წიგნი,
წიგნი, თუ რამ ჩვენში იშვა,
დათვლითაც კი ვერვინ დათვლის, —
ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა?!
თვალის დახამხამებაში
მასპინძელმა, ლომისტანამ,
მეფეთ მეფის საკადრისი
„რქაწითელი“ მოგვიტანა:
— „მე მსურს, ნალდი ღვინის ამ ტბით
კარგი წიგნი ვადღეგრძელო
და ამასთან ისიც ვაქო,
ვისაც წიგნით გააქვს ლელო!
მე, პირადად, ყველა ჭირი
ვაჟკაცურად მიტომ ვძლიე,
წიგნი, არამცთუ ქართული,
უცხოურიც მიყვარს ძლიერ!
წიგნმა სითბოს და სიკეთის
ხალხში თესვას მიმაჩვია,
წიგნს რა დღესაც არ გადავშლი,
ის დღე დღედ არ მიმაჩნია!“
უცბად, ჯერეთ არნახული
საოცრებისაგან გავშრით:
„ვეფხისტყაოსანი“ წყენით
ამეტყველდა კარადაში:
— „სულ რომ ცრუობ, ვეღარ ვითმენ
და ურცხვ პატრონს პირში გძრახავ:
წიგნებს მრავლად იძენ, მაგრამ
წაკითხვაზე მწყრალადა ხარ!“
— „შენ ხომ მუდამ ტკბილი იყავ,
ახლა რატომ გამიცხარდი?“
— „ყოველივეს მოგახსენებ,
გამიგონე, დამიწყნარდი!
არ გრცხვენია? მუხის თაროს
გშვენი ოცდაათი წელი
და არ მახსოვს, თუნდაც ერთხელ
შემხებოდეს შენი ხელი!
წიგნი მეც და წიგნნი სხვანიც,
მაშინა ვართ ცოდნის წყარო,
როს საკანში კი არ გვკეტავთ,
ჩვენთა ფურცელთ სიბრძნეს
სწავლობთ!“
— „დიდი „ვეფხისტყაოსანი“
მართალს ამბობს!“ — ალსდგნენ
სხვებიც, —
ჩვენ მილეთის ხალხი გვნატრობს,
აქ კი უქმად ყოფნით ვბნდებით!“
გაწბილებულ ჩვენს მასპინძელს
სირცხვილისგან ისე დასცხა, —
თავი ვეღარ შეიმაგრა
და პარკეტზე დაენარცხა!..
რა დავმალო, სამზეოში,
მოკვდავს ვიცნობ ათას ხუთასს, —
წიგნს ყოველდღე რომ ყიდულობს,
მაგრამ ერთს არ გადაფურცლავს!

ქიშვარდ ისაკაძე

ნახ. გ. ლომიძისა

— ტანსაცმელს გასაწმენდად ვღებულობთ მხოლოდ ღილებდაჭრილს!
— მაშინ ორ გაჩერებაზე გავყვები ამ ავტობუსს და ისევ მოვალ!

გაკვეთილი პროფორიენტაციაში

ერთ დ ღ ე ს ბებია ფუნთუმ თავი მოუყარა შვილიშვილებს და ასე დამოძღვრა:

— შენ, მანანია, ექიმი უნდა გამოხვიდე, ნენა, რომე სიბერეში მომიარო, ცოტა გამიგრძელო სიცოცხლე!.. შენ, რეზო, ინჟინერი გამოხვალ, ქალაქგარეთ საზაფხულო აგარაკი უნდა ამიშენო, თვარა ყოველთვის ნაქირავებში ვართ გამომხრჩვალი!.. შენ, თამრიკო, ელექტორი იქნები, ყოველ დილით გაზიზინებული „ვოლგა“ ჩამომიდგება ჭიშკართან!.. შენ კი ალიკო, გენერალი გამოხვალ, რომ შენი შიშით მეზობლობაში ჩვენზე ცუდის თქმა ვერავინ გაბედოს!

— ეგ ყველაფერი კაია, ბებო, მარა, საჭმელს ვინ მოგვიტანს, ტანსაცმელს ვინ დაგვიმზადებს?! — ეს თავსამტვრევი, რთული კითხვა სრულიად მარტივად დაუსვა ბებიას უფროსმა შვილიშვილმა.

— ვაი, ჩემს თავს! — შეიცხადა ბებიამ, — რავა, უბრალო ხალხი გინდათ გამოხვიდეთ, თუ?! არა, ნენა, ეგ თქვენი საქმე არაა! მაგ საქმეს მეზობლის ბავშვები გააკეთებენ, აბა, რას იზამენ!..

ამირან მიქაუტაძე

ქ. სოხუმი

147
1.III 79

ნახ. მ. აბაშიძისა

— იარაღის გარეშე ვეღარ ვერევი!

7 - 79

79-147

ეროვნული ბიბლიოთეკა
76187

ნახ. გ. ლომიძისა

— ჩვენ მარტო უფლებებს კი არა, ადამიანებსაც ვიცავთ!

მთავარი რედაქტორი ზურლან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოდუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ვ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 23/I 79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/II 79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 269 უე 00646 ტირ. 158.350 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ვ. კუცია, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია, მ. უძილაური, გ. ფირცხალავა, რ. ჯაში.